საქართველო

ე ვ რ ო პ ა   ე რ თ ი ა ნ დ ე ბ ა

# სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების უფლებებისათვის

ახალგაზრდების სრულფასოვანი წვდომა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების შესახებ განათლებაზე.

## სტატისტიკა

საქართველოს მოსახლეობის **21%**-ს ახალგაზრდები წარმოადგენენ. ახალგაზრდების დიდ ნაწილს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების შესახებ განათლებაზე არ აქვს სრულფასოვანი წვდომა.

ასოციაცია HERA XXI-ს მიერ ჩატარებული მშობლების დამოკიდებულების კვლევის მიხედვით, მშობლების **97%** მიიჩნევს, რომ აუცილებელია ესაუბრონ მათ შვილებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.

## სოციალური კონტექსტი

საზოგადოებაში არსებობს **ტაბუ** და ნეგატიური სტერეოტიპები სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით.

## პოლიტიკის კონტექსტი

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები მწირად არის წარმოდგენილი ფორმალური და არაფორმალური განათლების სივრცეში.

## რეკომენდაცია

### შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებისათვის

1. საქართველოს მთავრობამ და შესაბამისმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდების სრულფასოვანი წვდომა ყოვლისმომცველ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლებაზე.

2. უნდა გაიზარდოს ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელი შეეწყოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინ წამოწევას მიმდინარე პროგრამებში.

ინფოგრაფიკა მომზადებულია პროექტის “ევროპა ერთიანდება ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების უფლებებისათვის” “ევროპა ერთიანდება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების უფლებებისათვის “ ფარგლებში, ახალგაზრდული ორგანიზაციების CHOICE for Youth and და Sexuality and YouAct-ის მიერ, Share-Net International-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებას 5 ევროპულ ქვეყანაში: კვიპროსი, საქართველო, პოლონეთი, რუმინეთი და ჰოლანდია.

*საქართველოში პროექტი ხორციელდება საქართველოს ახალგაზრდების განვითარებისა და განათლების ასოციაცია - GYDEA, ასოციაცია ჰერა - XXI და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI-სთან პარტნიორობით.*